შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების 2024 წლის კონკურსი

www.rustaveli.org.ge

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

პროგრამის აღწერა

კონკურსის მიზანია:

1.მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება

2.ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება

3. საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ზრდა

4. ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება

5. წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროგრამის აღწერა

კონკურსი მოიცავს ევროსტატისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კლასიფიკაციით დადგენილ 6 სამეცნიერო მიმართულებას და დამატებით საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებას:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები
5. სოციალური მეცნიერებები
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

კონკურსში მონაწილე სუბიექტები

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სავალდებულოა კონკურსში მონაწილე დოქტორანტს ჰყავდეს დისერტაციის ხელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს დოქტორანტის სასწავლო-კვლევით პროექტს

დოქტორანტს შესაძლოა ჰყავდეს:

ა) თანახელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც სამეცნიერო კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევის პროცესში

ბ) კონსულტანტი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც სამეცნიერო კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევის პროცესში

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მნიშვნელოვანი დეტალები

გაითვალისწინეთ

- კონკურსის ფარგლებში გაიცემა მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტები
- დაუშვებელია საგრანტო კონკურსში ერთი და იმავე პირის მიერ ერთზე მეტი განაცხადის წარდგენა
- გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მონაწილეობის პირობები

1. პროექტის ხანგრძლივობა - მინიმუმ 6 - მაქსიმუმ 36 თვე.
2. კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა წელიწადში - მაქსიმუმ 6 თვე. 6 თვიანი პროექტებისთვის - მაქსიმუმ 3 თვე
3. უცხოეთში კვლევითი ვიზიტის არსებობის შემთხვევაში - დოქტორანტს აუცილებელია ჰყავდეს კონსულტანტი

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება და პროექტის ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სტუდენტის სტატუსს და სასწავლო სემესტრს შემდეგი სქემის მიხედვით:

აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე დოქტორანტისთვის, რომლისთვისაც მიმდინარეობს	სტუდენტის შეჩერებული სტატუსის მქონე დოქტორანტისთვის, რომელსაც დახურული აქვს	პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა	ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა
---	ნული სემესტრი	36 თვე	63 000 ლარი
I სემესტრი	ერთი სემესტრი	30 თვე	52 500 ლარი
II სემესტრი	ორი სემესტრი	24 თვე	42 000 ლარი
III სემესტრი	სამი სემესტრი	18 თვე	31 500 ლარი
IV სემესტრი	ოთხი სემესტრი	12 თვე	21 000 ლარი
V ან მეტი სემესტრი	ხუთი ან მეტი სემესტრი	6 თვე	10 500 ლარი

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

1. დოქტორანტის სტიპენდია

2. სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და საველე სამუშაოების ხარჯი

3. პროექტის მიზნებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა)

4. დისერტაციის მიზნებისთვის (დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები

5. სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის საჭირო სხვა ხარჯები

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ბიუჯეტის ძირითადი შეზღუდვები

- ფონდიდან მოთხოვნილი დოქტორანტის სტიპენდია 1 სანგარიშო პერიოდში - 5250 ლარი
- ფონდიდან მოთხოვნილი წლიური ბიუჯეტი - 21 000 ლარი
- გრანტით დაუშვებელია - უძრავი ქონების შეძენა, იჯარა, კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, მობილური ტელეფონის შეძენა, დამხმარე პერსონალის დაქირავება, სხვა ფიზიკური პირისთვის შრომის ანაზღაურების გადახდა.
- ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისთვის გაწეულ ხარჯებს

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საგრანტო კონკურსის ეტაპები

კონკურსის ადმინისტრირების ეტაპები:

1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება;
2. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია GMUS-ში - 6 ივნისიდან - 28 ივნისის 16:00 სთ-მდე;
3. რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში - 8 ივლისის 18:00 სთ-მდე;
4. პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა - შუალედური შედეგების გამოქვეყნება;
5. პროექტების შეფასება;
6. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენ. დირექტორის მიერ დამტკიცება;
7. გამარჯვებულ დოქტორანტებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საკონკურსო დოკუმენტაცია 1/2

- ✓ კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი 2, ნიმუში - ივსება GMUS-ში)
- ✓ საპროექტო წინადადება ქართულ და ინგლისურ ენაზე (დანართი 3, იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატით)
- ✓ დოქტორანტის, დისერტაციის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელისა და საქართველოს მოქალაქე კონსულტანტის CV-ები ქართულ და ინგლისურ ენაზე (გენერირდება GMUS-ის მიერ და იტვირთება PDF დოკუმენტის სახით დოქტორანტის მიერ პროექტში)
- ✓ უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტის ცნობა სამსახურიდან ან ოფიციალური ვებ-გვერდის ბმული - საიდანაც დასტურდება მისი დოქტორის ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია
- ✓ გეგმა-გრაფიკი - (დანართი 5, ივსება GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენაზე)
- ✓ პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება - (დანართი 6, ივსება GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენაზე)
- ✓ კონსულტანტის თანხმობის წერილი (დანართი 7, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით)

საკონკურსო დოკუმენტაცია 2/2

- ✓ ცნობა თანადაფინანსების შესახებ (დანართი 8, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით)
- ✓ ცნობა უნივერსიტეტიდან დოქტორანტის სწავლის შესახებ (დანართი 9, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით)
- ✓ სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ (დანართი 10, იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატით)

  *დოქტორანტის უნივერსიტეტიდან აღნიშნული ცნობის წარმოდგენა არ არის საჭირო
- ✓ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 11, ნიმუში გენერირდება GMUS-დან, პროექტის საბოლოო რეგისტრაციის დასრულების შემდეგ)

*თუ კონკურსის მონაწილე წარმოდგენს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, უნდა წარმოადგინოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის დამატასტურებელი დოკუმენტი კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებასთან ერთად კანცელარიაში.

* განცხადება დამოწმებული უნდა იყოს: დოქტორანტისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერებით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმოწერითა და ბეჭდით

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გასათვალისწინებელი დეტალები!

- ✓ დოკუმენტს, რომლის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია, თან ახლდეს შესაბამისი ქართული თარგმანი, დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს:

- ✓ პირადი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც განხორციელდება <u>მხოლოდ</u> პროექტთან დაკავშირებული ოპერაციები და <u>არ დაირიცხება სხვა სარგებელი</u>
- ✓ ცნობა სტუდენტის <u>აქტიური</u> სტატუსის შესახებ

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მონიტორინგი

ფონდი ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების შესრულების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს

ფინანსური მონიტორინგი - საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან

პროგრამული მონიტორინგი - დაფინანსებული პროექტით დაგეგმილი მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების შემოწმება

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დამატებითი მოთხოვნები

- ✓ გრანტის მიმღები ვალდებულია - გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა ასეთი სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.

- ✓ სავალდებულოა მიეთითოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით:

1. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში
2. გრანტის სახსრებით შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

გმადლობთ ყურადღებისათვის!

www.rustaveli.org.ge

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი